საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 320/ს
14/09/2022

320-21-4-202209141553

ქალაქ წყალტუბოს ცენტრალური ნაწილის განაშენიანების გეგმაზე სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 25-ე მუხლის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გაიცეს ქალაქ წყალტუბოს ცენტრალური ნაწილის განაშენიანების გეგმაზე სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის დასკვნა;
2. სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტომ სგშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა და სტრატეგიული დოკუმენტის კონცეფცია განთავსდეს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე, სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდსა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო დაფაზე;
6. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქალაქ წყალტუბოს ცენტრალური ნაწილის განაშენიანების გეგმაზე სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 9 სექტემბრის №302/ს ბრძანება;
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თეიმურაზ მთივლიშვილი



სააგენტოს უფროსი - მ.შ.
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო